# საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ასპარეზზე საზოგადოთ სიწყნარეა. მხოლოდ ვილენის მიმართულებით მტერმა მოქმედება დაიწყო. მოქმედება დაუწყია აგრეთვე რიგის ფრონტზე და გერმანიის ჯარს შეხაფერი წინასწარი ზომებიც მიუღია. აქ მტერს ჰაეროპლანებით ზღვრგა დაუწყია და რიგის ყურეში ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები გამოუშვია. ეს წინასწარი მზადებაა დიდი შეტევისა.

რუმინიის ფრონტზე ფოკშანის მიმართულებით რუმინიის ჯარმა უბრძოლველათ ირეშტის პოზიციები დასტოვა და უკან დაიხია. რუმინიის ფრონტზე მყოფ ჯარის მდგომარეობა დღითი დღე უარესდება და მათ განსაცდელი მოელით.

საფრანგეთის ფრონტზე ფრანგების შეტევა განელდა და ამ ჟამათ უმნიშვნელო შეტაკებები ხდება.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე იტალიის ჯარმა გორიცის რაიონში წინ წამოიწია და 1000-ზე მეტი ტყვე წაიყვანა.

ბდა და საჭიროების მიხედვით იგი სახელმწიფოს მოღალატეობას ჩაიდენდა. აბსოლიუტურ მართველობის მომხრეთ ისტორიის განმავლობაში არა ერთხელ და ორჯელ ჩაუდენიათ სახელმწიფოებრივი მოღალატეობა და ეს საკუთარი ინტერესების გულისათვის.

საფრანგეთის 1871 წ. ომის დროს, კომუნის მოწინააღმდეგე ტიერმა ბისმარკის მთავრობასთან კავშირი შეკრა და რევოლიუციონური კლასების დასამარცხებლათ სახელმწიფოებრივი მოღალატეობა ჩაიდინა.

მიზანი ყველგან ერთია. აბსოლიუტურ რეჟიმს ომის წარმატება და სამშობლოს დაცვა იმდენათ აინტერესებს, რამდენათაც იგი მის რეჟიმს აძლიერებს. როგორც კი დაინახავს რომ ომის წარმოება და მტერზე გამარჯვება მისთვის საზარალოა—იგი უმალვე სახელმწიფოს ღალატობს და გარეშე მტერს მეგობრათ იხდის.

აი ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობის ხანაში მეფის რეჟიმმა წარმოშობა სუხომლინოვები, მიასოედოვები, შჩეგლოვიტოვები, პროტოპოპოვები და კომპანია. მათ სახელმწიფოს ინტერესები საკუთარ ინტერესებზე გაიხადეს და ხალხის წინაშე მოღალატეობა ჩაიდინეს. სუხომლინოვის პიროვნება ჩვენ არ გვაინტერესებს—იგი წარსული რეჟიმის პირმშო შვილია და მის სახელმწიფოებრივ მოღალატეობაში მთელი სისტემა, მთელი რეჟიმია პასუხის მგებელი.

მაშასადამე დამნაშავეს სკამზე წამოსკუპებულია არა სუხომლინოვი, არამედ მეფის მთელი რეჟიმი, მისი სატრაპები-ჯალათები და დემოკრატიის წინაშე პასუხს აგებენ, სუხომლინოვის გასამართლებით გასამართლდება მთელი ძველი რეჟიმი და მას წყევლა-კრულით გაისტუმრებს რევოლიუციონური დემოკრატია. სუხომლინოვის გასამართლებით იუდის ბეჭედი დაესმება მთელ ძველ რეჟიმს და სამარცხვინო ლაქით გაისტუმრებს მეფის მთავრობა ისტორიის არქივში.

## მოსკოვის თათბირი.

(პ. დ. ს.)

რიაბუშინსკი აღნიშნავს, რომ მუშათა კლასი წინათ ძლიერ იტანჯებოდა, მაგრამ ეხლა ის ბატონია. ვაჭარ-მრეწველთა კლასს წინათ თვითმპყრობელი მთავრობა ჯალოსაებრ აჯდა თავზე და გასაქანს არ აძლევდა ფრთა გაშლა ვაჭრობა-მრეწველობა განვითარებისა. ეს იყო მიზეზი, რომ იგინი დაეხმარენ ძველი წეს-წყობილების დამხობაში. ვერც ამ ახალ დროში არის კარგათ საქმე, ვაჭრობა-მრეწველობა ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში, ამიტომ შეიძლება მათთვის ბუნებრივიც იყოს გარდამავალ ხანის წინააღმდეგობა. ვაჭარ-მრეწველნი ელიან, როდის დადგება ნორმალური მდგომარეობა, რომ მათ შესძლონ გაუძლონ ომის გათავებას და საზღვარგარეთის კაპიტალის იერიშს.

ვაჭარ-მრეწველთა ჯგუფის სახელით კუტლერი მხარს უჭერს სახელმწიფო დუმის წევრთა დეკლარაციას. ეკონომიური და ფინანსიური კითხვების შესახებ ის აღნიშნავს, რომ ვაჭარ-მრეწველები ხედავდენ ამ მხრით მოსალოდნელ კრიზისს და აფრთხილებდნენ ფინანსთა სამინისტროს. ეხლა ისინი ნათლად ხედავენ, რომ ამ სერიოზულ მდგომარეობას ანგარიშს უწევს ფინანსთა სამინისტრო და ეს კი იმედს გვაძლევს, რომ საჭირო ზომებს მიიღებენ.

ბუბლიკოვი ვაჭარ-მრეწველთა მიერ წამოყენებულ მსხვერპლის შესახებ საკითხზე საპასუხოთ ამბობს, რომ ფინანსების ხსნა მსხვერპლით არ შეიძლება. მას იხსნის მშვიდობიანი, გონივრული საფინანსო პოლიტიკა. მთელი რუსეთის მრეწველობა—განაგრძობს ბუბლიკოვი—შეადგენს 5 მილიარდ მანეთს. ეხლანდელ სამარცხვინო მანეთზე რომ გადავიტანოთ ეს შეადგენს ერთ მილიარდ დოლარს. თუ 1915 წ. გაცემული დივიდენდი შეადგენს (დამასინჯებულია)—ჰკითხულობს ბუბლიკოვი—რა მსხვერპლი იხსნის რუსეთს, რომლის ვალი 1 იანვარს 1918 წელს იქნება 60 მილიარდი დოლარი. ერთათ ერთი ხსნა არის ის რომ ჩვენმა ვაჭრობა-მრეწველთა კლასმა უმწვერვალესი ენერგია უნდა გამოიჩინოს. ჩვენ მზათ ვართ ჩვენი ცდა-გამოცდილებით გაგიწიოთ ყოველივე დახმარება. (მქუხარე ტაში. ბუბლიკოვი და წერეთელი მაგრათ ხელს ართმევენ, რაც დიდ ოვაციას იწვევს).

სოკოლოვსკი სამხრეთ სავაჭრო სამრეწველო ორგანიზაციის ბიუროს სახელით აცხადებს, რომ მომენტის ძირითადი მოთხოვნა ყველა კლასების, ჯგუფების და მთელი რუსეთის ერთა შეერთება სამშობლოს დასახსნელათ. მიწების მესაკუთრეთა სრულიად რუსეთის კავშირის სახელით შელნიკოვი აცხადებს, რომ კავშირი მზათ არის მხარი დაუჭიროს მოწოდებას და მზათ არის მსხვერპლისთვის. ის საჭიროთ სცნობს მსხვილ მიწის მესაკუთრეთა მიწების ჩამორთმევას. პროფესიონალურ კავშირთა სრულიად რუსეთის კონფერენციის სახელით გრინევიჩი მხარს უჭერს ჩხეიძის მიერ წაკითხულ დეკლარაციას. სიხარულით ეგებება ბუბლიკოვის მოწოდებას და ამბობს, რომ მას ეკუთვნის 22 თებერვლის რევოლიუციონური ინიციატივა. რკინის გზის მოსამსახურეთადმი თავის დეპეშით ბუბლიკოვმა თავის სახელი ჩასწერა რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში, (ბუბლიკოვს დიდ ოვაციას უმართავენ).

რიაზანოვი ინტერნაციონალისტების სახელით აცხადებს, რომ იგინი სავსებით ეთანხმებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პოლიტიკურ პროგრამას. (მარცხნით ტაში) მიუხედავათ იმისა, რომ ბუბლიკოვმა და წერეთელმა მაგრათ ხელი ჩამოართვეს ერთიმეორეს—ამბობს რიაზანოვი—მაინც ვერ ვ წამეზე მათ გულწრფელობას თუნდაც რიაბუშინსკი ჩხეიძეს გადაეხვიოს და ჩ ჰკოცნოს (სიცილი). რიაზანოვი მოაგონებს ეპიზოდს საფრანგეთის რევოლიუციიდან, როდესაც ბურჟუაზიის ორმა ნაწილმა ჩაკოცნა ერთიმანეთი და შემდეგ გამძვინვარებული ეკვეთენ ერთმანეთს. მრეწველობის დაცემას ის ხედავს მუშათა კლასის ცუდ მდგომარეობაში. ის აფრთხილებს, არ ამხედრებენ მუშათა ორგანიზაციის წინააღმდეგ და ბრალს ჩვენ მარჯვენა ნაწილს, რომ დიდი ხნის განმავლობაში იგინი ხვნეშოდენ თვითმპყრობელობის ძძიმე უღელ ქვეშ და ეხლა რევოლიუციის შემდეგ არ გასულა ორი თვეც, რომ უკვე გაჰყვირიან: „მოგვეცით ძველი წეს-წყობილება“. (ტაშის ცემა, ხმაურობა).

პროფესიონალურ კავშირების სახელით ჩურკინი იცავს მუშათა კლასს იმ ბრალდებისგან, რომლებსაც თავზე აყენებენ. უმთავრესათ იმის შესახებ თითქოს მუშები კლასობრივ ინტერესების გულისთვის ივიწყებენ საზოგადო ნაციონალურ მიზანს. ის ამტკიცებს, რომ რვა საათის სამუშაო დროის შემოღების და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ წარმოებამ იმატა. კლასობრივი ბრძოლის მიზანია არა წარმოების შესუსტება, არამედ მისი ზრდა განვითარება. (ტაში).

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სახელით გუჩკოვი აცხადებს, რომ რუსეთის მრეწველობამ თვისი ღირსეული ვალი შეასრულეს სამშობლოს წინაშე, მათ არავითარი ძალ ღონე არ დაუშურებიათ მის დასახსნელად. ეკონომიურ არევ დარევის მიზეზი, მისი აზრით, ცენტრალური სახელმწიფო მთავრობაა, რომელიც ცალმხრივია. ბურჟუაზიის სახელით ის აცხადებს: ჩვენ თქვენთან ერთად მზად ვართ ვიმუშაოდ და მსხვერპლი გავიღოთ, მაგრამ მსხვერპლი არა კლასობრივ, არამედ სახელმწიფოებრივ ინტერესებისთვის. საზოგადო მუშაობა უნდა იყოს შემოქმედებითი. ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობა გავიწოდ, ხოლო სტატისტობას კი ვერ ვიკისრებთ (ტაში).

კერენსკი აცხადებს, რომ სასურსათო კომიტეტის და კოოპერატივების წარმომადგენლებმა თავიანთი დროის ნაწილი დაუთმეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სექციის თავმჯდომარეს ყაზახ ნაგაევს, რომელიც ყაზახთა ჯარების წარმომადგენელია (კარაულოვი ადგილიდან „მან გუშინ სთქვა, რომ ის ყაზახთა ჯარების წარმომადგენელი არ არის“. ხმა ადგილიდან: „ის გამორიცხულია“. მეორე ხმა: „ის იმათი წარმომადგენელი აღარ არის, იმიტომ, რომ ის ხალხის წარმომადგენელია“. ტაში. ხმა: „კარაულოვ, ჩუმად“. კარაულოვი ყვირის: „ფიქრი ნუ გაქვთ მე არავის არ მეშინია“ კერენსკი: „ესაულის წევრო კარაულოვ! მოგიწოდებ სიწყნარისაკენ და გთხოვთ ორატორთან კამათს თავი დაანებოთ“. კარაულოვი: „მესმის“!) ნაგაევი გენერალ კალედინის წინააღმდეგ ლაპარაკობს, რომ მას უფლება არ ჰქონდა ყაზახთა 12 ჯარის სახელით მოეთხოვა დეპუტატების საბჭოთა გაუქმება. კალედინის დეკლარაციის უკან გარეშე პირები მოსჩანან ამოფარებულნი, მათ უნდათ წაუსისონ ყაზახები რევოლიუციას და ჩააბრჩონ ის. მაგრამ ყაზახები ასეთ სამარცხვინო საქმეს არ ჩაიდენენ, ყურს არ დაუგდებენ მათ პროვოკაციულ მოწოდებას და რუსეთის ხალხთან ერთად თვის სიცოცხლეს შესწირავენ თავისუფლებას. ნაგაევი კიდევ ერთხელ მოაგონებს კალედინს, ნუ ცდილობს ყაზახები ხალხისაგან გათიშოს.

კერენსკი აცხადებს, რომ ორატორმა კრებას უნდა მიმართოს და არა კერძო პირებს (ხმა ადგილიდან: „დიდება რევოლიუციონურ მშრომელ ყაზახობას“). ხმა ლოჟიდან: „გერმანიის მარკა“. ისეთი ხმაურობა ასტყდება, რომ სიტყვები აღარ ისმის. პროტესტის ხმები. ყვირიან: „გაჩუმდით“! „პროვოკატორო“!) კერენსკი ლოჟებისკენ მიმართავს და ამბობს: წინადადებას ვაძლევ იმას, ვინც ასეთი ბრალდება წამოისროლა ჯარის წარმომადგენლის შესახებ, იქონიოს გამბედაობა და სთქვას ვინ არის ის. ხმა. „ის ყაზახების წარმომადგენელი არ არის“. ყვირილი, ხმები: „ეშმაკი“. კერენსკი აცხადებს, რომ ესაული ნაგაევი და ყველა აქ დამსწრე რუსის ხალხი კმაყოფილია მით, რომ მშიშარა ხმას არ იღებს. (ტაში). კერენსკი: „ეპიზოდი გათავებულია (ტაში, ხმები: „მართალია“). ნაგაევი განაგრძობს სიტყვას და გათავებისას მთელი დარბაზი ტაშს უკრავს.

სასურსათო კომიტეტის სახელით ლაპარაკობს კარტაშევი, რომელიც სრულიად ეთანხმება ჩხეიძის რეზოლიუციას.

15 წუთის კრების შესვენების შემდეგ კერენსკი აცხადებს, რომ ის პირი რომელმაც შეურაცხმყოფელი სიტყვები წამოისროლა ყოფილა გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი საზაროვი. კერენსკის სიტყვების შემდეგ პოლკოვნიკი საზაროვი იძახის: „მე მზათ ვარ დავკმაყოფილო ესაული ნაგაევი. (მარჯვნით ტაში). მარცხნიდან ხმები: „ომის დროს დუელი აკრძალულია“. „მაგისთანებთან არ იბძვიან“. ხმები: „გიორგის კავალერებს ნუ შეურაცხყოფთ“! თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს.

უკანასკნელათ ლაპარაკობს კოოპერატივების წარმომადგენელი ბერკენგეიმი. ის ლაპარაკობს 50.000 ორგანიზაციის სახელით, სადაც შედის 20 მილიონი წევრი. ის აცხადებს რომ კოოპერაცია მხარს უჭერს რევოლიუციონურ დემოკრატიის დეკლარაციას და მთელი თავის ძალ ღონით მზათ არის მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. (ტაში).

დარბაზში სრული სიჩუმე დამყარდა. სიტყვას ამბობს კერენსკი: „ხურავს რა სახელმწიფო თათბირის კრებას, დროებითი მთავრობა ფიქრობს, რომ თუმცა მან კონკრეტული შედეგები ვერ მოგვცა, მაგრამ მნიშვნელობა დიდი ჰქონდა. აქ შეიკრიბა მთელი რუსეთის წარმომადგენელნი და აღნიშნეს რა არის საჭირო ასეთ საშიშ დროს. აქ ყველამ გაიგო ერთი-მეორის სულისკვეთება. დროებითმა მთავრობამ მიიღო ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობის სურათი. ჩვენ აქედან ის რწმენა გამოვიტანეთ, რომ რუსეთის მთავრობამ უნდა ეცადოს შეაერთოს და შეაკავშიროს ის რაც შესაძლებელია. ჩვენ აქ მოვედით იმ სიტყვებით რომ სახელმწიფოსთვის საჭიროა წესიერება, მსხვერპლი და შრომა. ყველა თქვენგანმა ამაზე სრული თანხმობა განაცხადა, ყველა მზათ არის ამისათვის—საჭიროა ვინმემ დაიწყოს. მე დარწმუნებული ვარ დაიწყებს ის, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასია თავისუფალი სამშობლო, ვისაც ჟღერს ზიზღს ჰგვრის მოახლოვებული დამცირება და მიწასთან გასწორება. (მთელი დარბაზი ტაშს უკრავს). დროებითი მთავრობა ფიქრობს, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ნების თანხმად—მხოლოდ ხშირათ ძნელია ამ ნების საცნობით გამოსარკვევა. კერენსკი პასუხს აძლევს იმათ, რომლებიც ბრალს სდებენ მთავრობას, რომ ის ბურჟუაზიამ მოისყიდა, გაჰყიდა ხალხისა და რევოლიუციის ინტერესები, შემდეგ კერენსკი მარჯვნივ მიუთითებს და პასუხს აძლევს იმათ, რომლებიც მთავრობას აბრალებენ, რომ ის ბნელ ძალების გავლენის ქვეშ არის. „მე ვაცხადებ, რომ დროებითი მთავრობა არავითარ გარეშე ძალთა გავლენის ქვეშ არ არის გარდა ერთი ძალისა, ეს არის ხალხის ნება, რომელსაც ჩვენ ვეძებთ (ტაში) ასეთ მთავრობას მუდამ ელოდება დაბრკოლებები, რადგან თვითეული კლასი ან პარტია უკმაყოფილოა მით, რადგან მას ყველას დაკმაყოფილება არ შეუძლია. ყველა აქ ნათქვამს მთავრობა სახეში მიიღებს და მით იხელმძღვანელებს ქვეყნის დასახსნელად. ჩვენ რაც უნდა ძალა დავგვეტანოს საზოგადო აზრის წინააღმდეგ არ წავალთ. ჩვენ ბრალს გვდებენ რომ ცოდვები ჩავიდინეთ და შეცდომები დავუშვით. მაგრამ არც პირველ და არც ეხლანდელ მთავრობას არავის არ შეშინებია. ომის სხვის ცოდვებს ჩვენ ვიღებთ თავზე და ვამბობთ: „წყეულ იყოს ის, ვინც ეხლა იტყვის შეუსწყვეტოთ ბრძოლა“. (მთელ დარბაზში ტაში გაისმის) შემდეგ კერენსკი აღნიშნავს, რომ ქვეყნის ხსნა შესაძლებელია ერთიმეორესთან შეთანხმებულ მოქმედებით. „დეე წერეთლის და ბუბლიკოვის სიმბოლიური ხელის ჩამორთმევა ცხოვრებში გამართლდეს“—სთქვა მან და ქვეყნის დასახსნელად ყველა ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული შეუდგეთ საქმეს. დასასრულ ის დროებით მთავრობის სახელით მადლობას უძღვნის თათბირს და ამბობს: „ხვალ ჩვენ დავუბრუნდებით ჩვენ ყოველდღიურ საქმეს, დღეს ნება მომეცით დროებით მთავრობის სახელით ვსთქვა: „არას დროს არ დაიღუპება ჩვენი სამშობლო, არას დროს, ვერავინ ვერ წაართმევს მას თავისუფლებას“. თათბირის წევრნი ყველანი ფეხზე დგებიან და კერენსკის დიდხანს ოვაციას უმართავენ. ხმები: „გაუმარჯოს რევოლიუციას, გაუმარჯოს რუსეთის რესპუბლიკას! გაუმარჯოს კერენსკის!“ ამის შემდეგ კერენსკი აცხადებს, რომ კრება დახურა. გაისმის ხმები: „გაუმარჯოს რევოლიუციას!“ კრება იხურება.

# დეპეშები

(პეტ. ტელ. სააგ.)

### ფინლიანდიის ამბები.

**ჰელსინგფორსი.** 16 აგვისტო. ის დეპუტატები, რომლებიც სეიმის დარბაზში არ შეუშვეს, შეიკრიბნენ ერობათა მოხელეების ძველ შენობაში. ტალმან მანერმა მოახსენა სხდომას, რომ გენერალ გუბერნატორი გვესტუმრაო. შემდეგ დეპუტატებმა თავიანთი აზრი გამოსთქვეს დრ. მთავრობის მოქმედების გამო. თუმცაო, განაცხადეს მათ, ჩვენი პარტია სცნობს სეიმის დათხოვის კანონიერებას, მაგრამ მაინც საჭიროთ მიგვაჩნია ტალმანის პროტესტს მხარი დაუჭიროთ—სეიმზე ძალადობის ხმარების გამო. ს. დ. ფრაქციის წარმომადგენელმა ცხარე პროტესტი [illegible] დრ. მთავრობის [illegible] [illegible] განაცხადა [illegible] წინააღმდეგ და იმ ფინლიანდიელებისაც, რომლებიც მხარს უჭერენ დრ. მთავრობას.

საღამოს 8 საათზე სეიმის სხდომა გაანთავისუფლეს ჯარებიდან. ქალაქში მთელი დღე წესიერება არ დარღვეულა.

17 აგვისტოს დილის პირველ საათზე სეიმის ახლო მახლო შეიკრიბნენ მოქალაქენი. წესრიგს მილიციონერები იცავენ. დანიშნულ დროზე დაიწყეს მოსვლა დეპუტატებმა, ჟურნალისტებმა და კანცელარიის მოხელეებმა. დარბაზში, რომელსაც პატრულები იცავენ, უპარათოთ არავის უშვებენ. ას დეპუტატზე მეტმა მოიყარა თავი. ორ საათზე შეკრებილი ჯგუფები თანდათან შეიცვალნენ. მარინეს სასახლეში სხდომა ექნება კომიტეტს, რომელიც გუშინ საღამოს სხდომაზე აირჩიეს დეპუტატების საბჭოებმა. ამ კომიტეტმა გადაწყვიტა, ნება არ დართოს ჯარისკაცებს და მეზღვაურებს ქუჩაში გამოვიდნენ, თუ სეიმის სხდომას წინააღმდეგობას გაუწევენო. სეიმის ტალმანმა მანერმა პირველ საათზე ინახულა გენერალ გუბერნატორი და პროტესტი გამოუცხადა სეიმის შეკრების წინააღმდეგ მიღებულ ზომების გამო. სტახოვიჩმა აღუთქვა, რომ პროტესტი გადაეცემა დრ. მთავრობასაო.

### ფინანსიური კრიზისი.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** 16 აგვისტო. ქალაქის თვითმართველობა ფინანსიურ კრიზისს განიცდის. საბჭო თხოულობს ერთი მილ. მან. სესხის ნებართვას. შესაძლებელია ტრამვაის, წყლის სადენის და სხვა დაწესებულებათა მოქმედების შეჩერება.

### სოციალისტური კონფერენცია.

**ლონდონი.** გაიხსნა სოციალისტური კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, იტალიის, საბერძნეთის, პორტუგალიის, ბელგიის და სამხრეთ აფრიკის ახალშენთა მშრომელი პარტიების წარმომადგენლები. სულ დაესწრო 68 წარმომადგენელი. ჰენდერსონი მიესალმა სტუმრებს და განაცხადა, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. საჭიროა გავარკვიოთ სადავო მუხლები და შევეცადოთ ომის მიზნების შესახებ დავამყაროთ ურთიერთ შორის შეთანხმება, რაც მუდმივ საპატიო დემოკრატიულ ზავს მოგვცემსო. კონფერენციის გადაწყვეტილებას ანგარიშს გაუწევს მთელი ქვეყანა, როგორც შეკავშირებული პროლეტარიატის ხმასო. რუსმა დელეგატებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან კონფერენციას თათბირის ხასიათი აქვს, ისინი მონაწილეობას დებულობენ სხდომების მუშაობაში.

კონფერენციამ 55 ხმით 44 ხმის წინააღმდეგ უარყო რეზოლიუცია, რომლითაც უარყოფდენ ყოველგვარ მოლაპარაკებას მეომარ სახელმწიფოთა დელეგატებთან, სანამ გერმანიის მიერ არ იქნებოდა განთავისუფლებული დაპყრობილი ადგილები.

### სუხომლინოვის საქმე.

**პეტროგრადი.** აქვეყნებენ სამხედრო აგენტის ბაზაროვის ჩვენებას, რომელიც ბერლინში იყო. მას აუარებელი მასალები ჰქონდა შეკრებილი იმის შესახებ, რომ გერმანიასთან ომი აუცილებელი იყო. ცნობებს ის ჰკრებდა გერმანიის სამხედრო სამინისტროში და სხვა ოფიციალურ დაწესებულებებში. ის ცნობები, რაც მე შევკრიბე, ყველა სწორი გამოდგაო. რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლებს ისე კარგათ ვერ გვეპყრობოდენ, როგორც იტალიის, ბოლგარიის, რუმინიის და ოსმალეთის წარმომადგენლებსო. საარტილერიო სამმართველოს სამეურნეო ნაწილის უფროსი სმისლოვსკი იარაღის ნაკლებობის მიზეზად სთვლის ჩვენი წარმოების განუვითარებლობას და საარტილერიო უწყებაში გამეფებულ უწესრიგობას. სუხომლინოვი სრულიადაც არ ყოფილა ამ უწყების მუშაობით დაინტერესებულიო. შეკვეთათა ჩაბარება და ფულის მიღების საქმე მეტის მეტად გაძნელებული იყოო. მისი აზრით, ამიტომ უწყებამ ვერ შესძლო საკმაო სამხედრო მასალების დამზადებაო. უმთავრესი შეცდომა სამხედრო უწყებისა კი ის იყო, რომ ეგონათ ომი ხანგრძლივი არ იქნებაო. ომის დაწყების შემდეგ ქარხნის წარმომადგენელთა ყრილობა მოხდა, სადაც სამხედრო შტაბის უფროსებმა განაცხადეს: იარაღი არ გვყოფნისო. ამის შემდეგ ერთი ამბავი დატრიალდა: ფასები, ხაზღაპროდ გაიზარდა, მაგრამ ის მოთხოვნა, რომელიც ფრონტისთვის იყო საჭირო, მაინც ვერ იქნა დაკმაყოფილებულიო. ამის შემდეგ ლაპარაკობს სუხომლინოვი.

### გლეხთა ყრილობა.

**ადესა.** 16 აგვისტო. გაიხსნა გლეხთა ყრილობა ხერსონის გუბერნიის გლეხებისა. დაესწრო 100 დელეგატი. მათ შორის არიან ებრაელების კოლონიების წარმომადგენლები.

### ქარიშხალი ინგლისში.

**ლონდონი** 16 აგვისტო. ინგლისში ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. საგრძნობათ დაზიანდა მინდვრები.

### აფეთქება.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** 17 აგვისტო. „ნიჟნი-ნოვგოროდის“ სიტყვით ყაზანით ჩამოსულთა სიტყვით პ-რველი აფეთქება მოხდარა 14 აგვისტოს. ამის შემდეგ მოხდარა მეორე [illegible] აფეთქება. აფეთქების ხმა ისმოდა [illegible] აგრეთვე სადპოროხოვაიდან. მა[illegible] გამოჩენილა ალი ძველ ქარხნის ზემო[illegible]. დახოცილები და დაჭრილები [illegible] არიან. ქალაქი შიშის ზარმა მოიცვა. მცხოვრებნი გამორბოდენ ტბისაკენ. ცეცხლმა გაანადგურა პოროხოვაია, იგუმნოვა, სადგური ადმირალტეისკაია და იაგოდნია. მოხდარ უბედურობის მიზეზათ ზოგიერთები ჯარისკაცებს სთვლიან. ზოგიერთები კი გერმანელების ჯაშუშებს აბრალებენ. ზარალი დიდია.

# ომის დეპეშები.

**პეტროგრადი.** 17 აგვისტო. დასავლეთ ასპარეზზე ვილენის მიმართულებით სროლა გაცხოველდა რუმინიის ფრონტზე, რადაუცას სამხრეთით სოლკას რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. სოფ. ბურლას სამხრეთ რაიონში მტრის 10 ჯარისკაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. ოკნის რაიონში, გროსეშის სამხრეთ ნაწილში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე სოველას ჩრდილო-აღმოსავლეთით. ფოკშანის მიმართულებით, ირეშტის აღმოსავლეთით მტერმა იერიშები მიიტანა და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა სანგრები მიეტოვებინა. 16 აგვისტოს მტერმა იერიშების მიტანა განაგრძო და ჩვენი ორი პოლკის დიდმა უმრავლესობამ ირეშტის რაიონში უბრძოლველად პოზიციები მიატოვეს.

კავკასიის ფრონტზე, პენჯვინის მიმართულებით, ზერიმარის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის ორი სოფელი დავიკავეთ და ტყვეები წამოვიყვანეთ.

**პეტროგრადი.** 17 აგვისტო. მიმდინარე კვირის განმავლობაში, ბალტიის ზღვის ნაპირებთან მტერმა მოქმედება განაცხოველა. მოწინააღმდეგეს ჰაეროპლანები რიგის კუნძულზე დაფრინავენ. ფინის ყურეში ჩვენს გემების სადგურში 90 ყუმბარა ჩააგდეს. აგრეთვე ჩვენი ნაპირების მახლობლათ გამოჩდენ მტრის გემები, ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები. რიგის ყურეში ჩვენი ტრალერი მტრის ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა.

**პარიზი.** 16 აგვისტო. მთელს ფრონტზე სროლა არ ყოფილა. მხოლოდ იურტევიზასა და მდ. მაასის ნაპირებთან საარტილერიო სროლა ქვლავ გაცხოველდა.

**ლონდონი.** 16 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, გუზოკურას ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლანგემარკას სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი პოზიციებიდან გავრეკეთ.

**რომი.** 17 აგვისტო. გორიცის აღმოსავლეთ მთაგორიან ადგილებში მტრის პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და წინ წავიწიეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 ჯარისკაცი.

# ახალი ამბები

**პურის ბარათებით გაყიდვა.** ხვალიდან თფილისში დაიწყება პურის ბარათებით გაყიდვა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ურჩევს მცხოვრებთ ახლავე მიიღონ ბარათები საუბნო კომიტეტებიდან.

**ქალაქის გამგეობა.** ღუშეთის ქალაქის ახალ გამგეობის წევრებს ოთხჯერ ჰქონდათ სხდომა. პირველ სხდომაზე წევრები გაეცნენ ერთმანეთს და იქონიეს მსჯელობა სხვადასხვა მიმდინარე კითხვებზე, მეორე სხდომაზე გაარჩიეს საკითხი ტრამვაის მუშებისათვის დროებით თავისუფლების მიცემის შესახებ. გამგეობამ დაადგინა ოლქის შუამდგომლობა, რომ ამ მუშებს მისცენ ორი თვის თავისუფლება სამხედრო სამსახურში გაწვევამდე. მესამე სხდომა მოანდომეს გამგეობის საქმეების წევრთა შორის განაწილებას. ვინაიდან სხდომას არ დასწრებია ყველა წევრები, საქმეთა საბოლოო განაწილებაც ვერ მოხდა. გამოირკვა მაინც, რომ ამხ. გ. კონიევს ჩააბარებენ სასკოლო განყოფილებას, ხოლო მ. სმირნოვს—ბუღალტერიისა და ფინანსიურ განყოფილებას, მეოთხე სხდომაზე გამგეობის უფროს მოსამსახურეთა თანადასწრებით განიხილეს საკითხი გამგეობის განყოფილებათა რეორგანიზაციის შესახებ.

**რევოლიუციის დღესასწაული.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად მოაწყოს 27—28 აგვისტოს დღესასწაული საბჭოების დაარსებიდან 6 თვის შესრულების გამო. არჩეულ იქნა ცალკე კომისია, რომელსაც მიენდო ამ საქმის მოწყობა. დაადგინეს აგრეთვე გამართონ ერთი დღით შემოწირულებათა შეგროვება რევოლიუციონურ ორგანიზაციათა სასარგებლოთ.

**ქ. ახალქალაქის საქალაქო არჩევნები.** საქალაქო არჩევნებში სოციალ-დემოკრატებისა და სოც.-რევოლიუციონერების ბლოკმა გაიმარჯვა, თვითმმართველობაში გაიყვანა 9 ხმოსანი. დაშნაკელებმა გაიყვანეს 6 ხმოსანი, სომხის სახალხო პარტიამ—1, ვაჭრებმა—8, უპარტიოთა ჯგუფმა—1.

— **ახალი კოოპერატივი.** ველაზარში ამ დღეებში გაიხსნება ახალი კოოპერატივი.

— **მეცადინეობის დაწყება საშუალო სასწავლებლებში.** სამოსწავლო ოლქის საბჭოს დადგენილების თანახმად, ამიერ კავკასიის საშუალო სასწავლებლებში (როგორც ქალების, ისე ვაჟების), სამასწავლებლო ინსტიტუტში და სემინარიებში მეცადინეობა უნდა დაიწყოს 20 სექტემბრიდან, მისაღები გამოცდები კი 11 სექტემბრიდან.

— **რკინეულების შეგროვება.** 20 აგვისტოდან თფილისში მიწათ-მოქმედების მინისტრ ვ. ჩერნოვის განკარგულების თანახმად მოხდება რკინეულობის შეგროვება. საჭიროა სამეურნეო იარაღების დასამზადებლად.

— **გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის** წევრთა უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, მიეცეს გლეხებს უფლება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, მაზრის ფარგლებში საზღვრების შეცვლისა.

— **ახალი დრამა.** ს. შართენაშვილის მოთხრობა „ისონ ქეჩაშვილი" ავტორმა გადააკეთა 5 მოქმედებიან დრამად, რომლის ბეჭდვა დაიწყება მეორე ნომრიდან ჟურ. „სოფლის მუშაკ"-ში.

— **ქალაქის სტატისტიკიდან.** 1917 წ. ივლისში მომხდარ მთავრობის მიერ მოწყობილ აღწერიდან გამოირკვა შემდეგი: თფილისის მცხოვრებთა რიცხვი ჯარის გამოკლებით უდრის 260 ათასს, ამ რიცხვიდან საარჩევნო უფლებით სარგებლობს 124,276 კაცი. ქალაქს უჭირავს 2826 დეს. 2044 ოთხ-კუთხი საჟ. სივრცე მდ. მტკვრის გასწვრივ ქალაქს სიგრძე აქვს 11 ვერსი, განი 4 ვერსი: სულ ქალაქში 1240 ქუჩაა (მათ შორის შესახვევი, ჩიხი, გასავალი და სხ.) და 23 მოედანი. ქუჩების საერთო სიგრძე უდრის 1800 ვერსს, აქედან მოკირწყლულია მხოლოდ 55 ვერსი; უძრავ ქონებათა საერთო რიცხვი უდრის 15,526 ამათ შორის 3024 საიჯარო. ქალაქს ეკუთვნის სასაკლაო, წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტრონის სადგური და განათება, ლომბარდი, ცეცხლის ჩასაქრობი რაზმი, სანქარო დახმარება, მილიცია, ტრამვაი, ქალაქის ცენტრალური პურის საცხობი, აფთიაქი, ფუნიკულიორი. ქალაქი თავის ხარჯზე ინახავს 33 სკოლას, დახმარებას უწევს ქალთა კურსებს, მე-5 გიმნაზიას, აქვს 4 ბიბლიოთეკა, თეატრი, ავჭალისა და ნაძალადევის აუდიტორია, მუზეუმი, ღატაკთა თავშესაფარი, შრომის ბირჟა, საავადმყოფო, მშობიარეთა თავშესაფარი, ალექსანდროვის საავადმყოფო, სულით ავადმყოფთა თავშესაფარი, გადამდებ სენით ავადმყოფთათვის ბარაკები, ამბულატორია 4 განყოფილებით. ომიანობის გამო ქალაქმა მოაწყო ომიანობით დაზარალებულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, ქალაქთა კავშირის კავკასიისა და თფილისის კომიტეტები, ჯარისკაცთა ოჯახების დახმარება და სხ. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა საერთო რიცხვი 1917 წ. 1 იანვრისთვის უდრიდა, 1150, ტრამვაის მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 1200.

— **სახალხო მასწავლებელთა შორის.** თფილისის გუბ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობას ხშირად მოდის ფილიალურ განყოფილებიდან ცნობა, თუ პირველ სექტემბრისთვის მასწავლებლებს ჯამაგირი არ გაუდიდეს 160 მანეთამდე, ისინი სამსახურს თავს ანებებენო.

— **გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა** გადასწყვიტა არჩეულ იქნას ახალი კომისიები: სადგურ-მამულო, სასურსათო, საზოგადოებრივ უშიშროების და სარევიზიო.

— **ფურაჟის კრიზისი.** ფურაჟის კოოპერატივები: „შრომა", „დახმარება" და „მომხმარებელი" ამ ჟამად დიდ კრიზისს განიცდიან ფურაჟის ნაკლებობის გამო. ამის მიზეზი ის არის, რომ კოოპერატივებში წევრებად უმთავრესად ჩაწერილი არიან მეეტლეები, არის ისეთი წევრი, რომელსაც თვეში 3 ვაგონი ფურაჟი უნდება, კოოპერატივები კი ცოტას ღებულობენ, მაგალითად, უკანასკნელ ნახევარი თვის განმავლობაში მიიღეს მხოლოდ 2 ვაგონი ფურაჟი.

— **„ქრისტინე" ლენტზე.** ე. ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის „ქრისტინეს" ლენტზე გადაღებას, რომელიც განზრახული აქვს გ. გოგიტიძეს, ამ დღეებში შეუდგებიან. საჭირო ლენტები და მასალები უკვე მიუღია გოგიტიძეს. ორი მოქმედება შესრულებულ იქნება ქალაქში, ორი კი გურიის სოფლებში.

**სტიპენდიები.** ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ ამ დღეებში გაგზავნა ბოლხოვის (ორიოლის გუბ.) ტყეუფლობის საქმის ინსტრუქტორთა სასწავლებელში 2 მოწაფე—სტიპენდიატი, ზ. ჩხეიძე და კ. გამყრელიძე.

— **საერობო კავშირში.** 14 აგვისტოს სრულიათ რუსეთის საერობო კავშირის ამიერ კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თ. ბერეზოვსკი (ს.-დ.) თავმჯდომარის ამხანაგებად: ბ. ლესინი (ს.-დ.) და ა. ცაცანოვი (უპარტიო), მდივნებად: მ. მელიქ ადამალოვი (ს.-დ.), ა. აბესაძე (ფედ.) და პ. ფრიზენი (უპარტიო), გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს ბ. ჯულიანი.

— **კანტორა „განათლება"** სთხოვს მკითხველებს: ვისაც უნდათ „ისტორიული მატერიალიზმის", „ტრიელ გოლუბ" და სხვა ახალი წიგნების გამოწერა, ფული წინდაწინ გამოგზავნონ. ვაცხადებ აგრეთვე რომ სხვადასხვა რედაქციების ფულს კანტორას ნუ გამოუგზავნიან. გამოუგზავნონ თვით რედაქციებს.

— **სამგლოვიარო წერილი** მივიღეთ კოტე შაყულაშვილისაგან ამხ. გიორგი მარსაგოვის გარდაცვალების გამო.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. მე-4 რაიონულ კოლექტივის წევრთა არაჩვეულებრივი კრება საღამოს 7 ს. ვაკეთა მე 6 გიმნაზიაში (საუფლისწულო ქ.) ვინაიდან გასარჩევია ფრიად სერიოზული კითხვები, ამხანაგებს ვსთხოვთ უსათუოთ დაესწრონ და ნუ დაიგვიანებენ.

— ხვალ, დილის 9 ს. (პეტრე დიდის ქ. № 18) დანიშნულია ხის დამმუშაველთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა საერთო კრება. ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლად გამოცხადდნენ. კრება კანონიერი იქნება რამდენიც არ უნდა დაესწროს წევრი.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება ხვალ, დილის 10 საათზე, სახალხო სახლში. დღის წესრიგი: 1) მოხსენება დამფუძნებელ კრების შესახებ; 2) მოხსენება სასურსათო საკითხის შესახებ; 3) მოხსენება სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ; 4) მოხსენება რევოლუციის დაწყებიდან ნახევარი წლის შესრულების გამო დღესასწაულის მოწყობის შესახებ; 5) მიმდინარე საქმეები.

— რესტორანებში, კლუბებში, სასტუმროებში, სარდაფ—საყავეებში და სხ. დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობა აუწყებს კავშირის წევრებს, რომ დღეს სახალხო სახლში, დილის 9 ს. შესდგება საზოგადო კრება. გამგეობა სთხოვს ყველას დაესწრონ კრებას.

— ხვალ, დილის 11 ს., ველაზრის კლუბის საზოგადო შენობაში (მიხეილის პრ. № 65) დანიშნულია სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) სავაჭრო დაწესებულებათა მასიური დახურვა; 2) გაფიცვისა და უმუშევრობის დროის საჭირო ფონდის შექმნა; 3) სარევიზიო კომისიის ორი წევრისა და მათი კანდიდატების და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ ბიუროში წარმომადგენლის არჩევნები; 4) სამხედრო სამსახურში გასაწვევი წევრების შესახებ; 5) თანამედროვე პოლიტიკური მომენტი; 6) რკინეულობაზე მომუშავეთა კავშირის წევრთა მოქმედების შესახებ; 7) კავშირის ზოგიერთ წევრთა საქციელის შესახებ. გამგეობა სთხოვს ამხანაგებს არ დაიგვიანონ.

## პროვინციის ქრონიკა.

**ქ. ყვირილა.** შორაპნის მაზრის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ფართო კრებაზე ერთხმად გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: ვინაიდან რუსეთის დიდი რევოლუცია განიცდის უდიდეს კრიზისს და კონტრ-რევოლუციონერები თავის შავ საქმეებს კვლავ შეუდგნენ, ამისათვის მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას სახელმწიფო დუმა, ეს შავ რაზმელთა ბუდე, საიდანაც, დღეს, თავისუფალ რუსეთში, კიდევ გაისმა შავი ყორნის—მასლენიკოვის და კომპანიის ხმა მუშათა საბჭოების ძალაუფლების შევიწროების შესახებ. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნას დუმა და მალე მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, რომელიც გამომხატველი იქნება თავისუფალი რუსეთის მოქალაქის წმინდა სურვილებისა.

**სოფ. ამაღლება** (გურია). ადგილობრივი რ. ს.-დ. მ. პ. კოლექტივის ინიციატორობით გაიმართა წარმოდგენა სოფელ ამაღლებაში და სამებაში. ორივე წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 374 მან. და 92 კ. ეს თანხა კოლექტივმა გაანაწილა შემდეგ ნაირად: პარტიულ სტამბის ფონდისთვის 200 მან., 100 მან. საარჩევნო ფონდის გასადიდებლად და დანარჩენი 74 მან. და 92 კ. გადადებულ იქმნა ადგ. აღმ. კომიტეტის ხარჯების დასაფარავად.

— აქ 1-ლ ენკენისთვიდან იხსნება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ხარჯებს კისრულობს თვით საზოგადოება.

**დ. ონი.** არ შემიძლია, რომ არ აღვნიშნო აქაური ზოგიერთი ყმაწვილების ყოფაქცევა. ეს ყმაწვილები ისინი არიან, რომლებიც დღე და ღამეს მუშაობით ასწორებენ, მუშაობენ ორშაბათიდან შაბათ საღამომდის ერთგულად ხაზეინებისთვის, შაბათ საღამოდან ორშაბათ დილამდის კი კარტისთვის. იმ კვირაში აღებულ ფულს (დღეში 10 მან. ღებულობენ) ანდომებენ კარტს. რომ ნახო ორშაბათ დილას ეს ვაჟბატონები ჯიბეში კაპიკს ვეღარ უნახავთ, ცოლნი კი ყველა ცოლშვილიანები არიან, რომლებსაც ოჯახისთვის მანეთის დახარჯვაც კი ენანებათ და კარტში კი წითელ თუმნიანებს ისვრიან და თანაც დასძახიან: „მალე შევავსებთ, თუმანი ერთი დღის ქირა არისო". თუ არ დაუნებებიათ კარტის თამაშისთვის თავი ამ ვაჟბატონებს—შემდეგისთვის გაზეთში აღვნიშნავ ამათ სახელსა და გვარს.

— აქაურ სახაზინო დუქნებში მომუშავე ნოქრები გაიფიცნენ. ხაზეინებს წამოუყენეს მოთხოვნილებანი, რაც იმ დღესვე დააკმაყოფილეს.

— 23 ივლისს სოფ. ნაკიეთს (უწერის საზ.) დაიხრჩო მდ. რიონში სოფ. წედისის მცხოვრები გერსევან მაისურაძე.

— აქ ფურნეები დაიკეტა. ბაზარში შიმშილობაა.

— ვაჭრებმა დაადგინეს რომ დუქნები იღებოდეს დილის 7 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 7 საათზე, მაგრამ ამ დადგენილებას ცოტანი ასრულებენ. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

## შრომის შვილებს.

ძმებო! მედგრად დაიცავით გამარჯვება სანაქებო,
თავისუფალ ახალ ყოფნას მოვლა უნდა საგანგებო;
ხედავთ, მტერი ძალას იკრებს ჩვენდა თავზე დასასხმელად,
გამალებით ხმალსა ლესავს წმინდა აზრის ჩასაკვლელად?

ხედავთ, დღემდის თუ ფიცავდენ წითელ დროშას, ჩვენთან ძმობას.
დღეს შხამ-გესლით ავსებული აძლიერებს შურს და მტრობას?
შრომის შვილნო! დაიცავით გამარჯვება სანაქებო,
თავისუფალ ახალ ყოფნას მოვლა უნდა საგანგებო...

**ხიო ხიდიხთაველი.**

## გლეხის ვედრება.

1.

რა გულ საკლავად სისინებს
ეს სატიალო ქარია;
ისე მორეკა ღრუბლები,
როგორც მტრის ურდო-ჯარია.

2.

ღმერთო, დაიხსენ სოფელი,
აშორე სეტყვა-ღვარია;
ეს არის ჩემი ვედრება
და სოფლის სათხოვარია.

**გ. ქუჩიშვილი.**

**სოფ. წაღლოვანა.** (სურამის რაიონი) ამ დღეებში, ამ სოფელში თოკით თავი დაიხრჩო ახალ-გაზრდა ქალმა დარო გოგალაძისამ. მიზეზი ვერ გამოარკვიეს. განსვენებულს დარჩა ქმარი და ორი პატარა შვილი.

**სოფ. აბაშა.** (სამეგრელო). დამფუძნებელი კრების მოახლოების გამო ხალხი ფეხზე წამოდგა და ყველა მიძინებული კუთხეები გამოფხიზლდა. გაჩაღდა ორგანიზაციული მუშაობა. ყველა ამაებს საგრძნობლად ხელი შეუწყვეს პროპაგანდისტთა კოლეგიის წევრებმა.

**დ. ხაშური.** ხუთშაბათს 10 აგვისტოს ხაშურის ახალ-გაზრდა მარქსისტებმა გამართეს ინტერნაციონალური საღამო. მონაწილეობა მიიღო ამხ. ნიკო გოცირიძემ. საღამო შინაარსიანი გამოდგა და ხალხიც ბლომად დაესწრო. წმინდა შემოსავალი გადაეცა ხაშურის რაიონის სოც. დემ. მუშათა პარტიის ორგანიზაციას.

— ხაშურის რაიონის სასურსათო კომიტეტმა შეიმუშავა ნიხრი პირველ საჭირო საგნებზე, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად ხაშურის აღმ. კომიტეტს. ნიხრის შემუშავებამ ძალზე გააბრაზა აქაური ღვედ ახსნილი ვაჭრები.

— აგვისტოს 6 მოხდა ხაშურში—დაბისა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2000 მეტმა ამომრჩეველმა. ასარჩევი იყო სულ 25 კაცი. საარჩევნო ყუთი დაიდგა ორმა ჯგუფმა: № 1 სოც. დემოკ., სოც. რევოლ. სოც. ფედერალისტებს შეერთებულმა ბლოკმა და № 2 დაშნაკელებმა. სრული გამარჯვება ხვდა № 1. აირჩიეს: 15 სოც. დემოკრატი, 5 სოც. რევოლუც. და 5 სოც. ფედერალ. არც ერთი ხმა № 2.

— 11 აგვისტოს მოხდა პირველი სხდომა ამ ახალი კომიტეტისა. აირჩიეს პრეზიდიუმი და სექციები: სანიტარული, სასურსათო და სადამომძიებლო.

**მოლითი.** 8 აგვისტოს გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი. თავმჯდომარედ აირჩიეს ცისქაშვილი. ილაპარაკეს ს. დ—ი პროგრამაზე და დამ. კრებაზე.

**სოფ. მეჯვრის ხევი.** (გორის მაზრა). 4 აგვისტოს გორიდან გვეწვია 20 ამდე ჯარისკაცი, რომლებმაც ორი დღის განმავლობაში 100 ამდე დეზერტირი შეკრიბა და გაგზავნა სამხედრო უწყებაში.

— შეუდგნენ დამფუძნებელ კრების სიების შედგენას.

— მილიციონერებმა მიიღეს მხოლოდ ორორი თვის ჯამაგირი, რაიც დიდ უკმაყოფილებას ჰბადებს საერთოდ მოსამსახურეთა შორის და განსაკუთრებით სოფლის კომისრებსა და მათ მდივნებთა შორის, ვინაიდან ამ უკანასკნელებმა არც კი იციან, როდის მიიღებენ და რამდენს.

— ამ რაიონში გამუდმებული გვალვებია, მდინარეები, რომლითაც ირწყოდენ, თითქმის ამოშრა. მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

**სოფ. ივარი.** (სიმონეთის საზოგადოება). მომხმარებელ საზოგადოება განახლების საქმე კარგათაა დაყენებული. სიმინდის მოტანა მოიხერხდა. ხალხი აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

## დაშნაკელების ვექილი.

„კავკაზსკოე სლოვო",—სიტყვით სოციალისტ-რევოლუციონერთა თანამგრძნობი, საქმით კი,—პლუტოკრატიისა და დაშნაკელების ზრახვათა მატარებელი, ახალ საბჭოს ცხება. ამართლებს დაშნაკელების მოქმედებას უკანასკნელ სხდომაზე, ამტყუნებს—მენშევიკებს. მოსწონს სოც.-რევოლუციონერების ტაქტიკა, ქება-დიდებას უძღვნის ბოლშევიკების ფრაქციას.

რა მოხდა?

მენშევიკებმა განაცალკევეს საბჭოში დაშნაკელები. მენშევიკებმა შეუძლებელი გახადეს თურმე საბჭოში ნაყოფიერი მუშაობა!

დაშნაკელების პარტია საბჭოში მენშევიკების წყალობით გაიხადა დევნილი და წამებული, მაგრამ გაზეთის თქმით, „ასეთი განცალკევებისაგან მოიგებენ არა ის პარტიები, რომელთა დროშებს ინტერნაციონალური ლოზუნგები ამშვენებენ; დაშნაკელების დასუსტების ნაცვლად, რასაც ასე ესწრაფვიან სოციალ-დემოკრატები, ხელს შეუწყობენ მის გაძლიერებას. სომეხთა მასსა კიდევ უფრო მჭიდროთ შეუკავშირდება დაშნაკცუტიუნს, იგრძნობს რა თავს დევნილად".

ასე თუ მოხდება, მით უკეთესი დაშნაკცუტიუნისათვის! ეს აზრი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე დაშნაკელმა ჯამალიანმა წარმოსთქვა, მას, რა თქმა უნდა, განცალკევებით გაძლიერება არა სწამს და თუ მაინც გაძლიერებაზე გაიძახის—ეს ერთნაირი დემაგოგიაა!..

დეე ყველამ იცოდეს, და მათ შორის „კავკაზსკოე სლოვომაც", რომ მენშევიკები საქმეს წახდენით არ იწყებენ, როგორც ეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა ჰქნეს 1907 წ.—დაშნაკელებს სოციალისტობის მოწმობა უბოძეს მაშინ, ახლა სურთ ჩამორთმევა!

როგორც საბჭოს სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს შორის.

გაიმარჯვებს ნაციონალიზმი, იბატონებენ დაშნაკელები!

ამ ჟამათ გამარჯვებულია ინტერნაციონალიზმი,—ბატონობს სოციალ-დემოკრატია!

ეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს!

რაც შეეხება „ზაკავკაზსკოე სლოვოს" პათეთიურ განცხადებას, რომ მცხოვრებნი საბჭოსაგან საქმეს მოელიან და არა სამიტინგო სიტყვებსო, უნდა მოვახსენოთ, რომ ეს „საქმე" არც ისე ადვილი გასაკეთებელია; მცხოვრებლებმა, დემოკრატიამ კარგათ იციან, თუ როგორ ჩააბარა ქალაქი თქვენმა სულის ჩამდგმელმა პლუტოკრატიამ ახალს საბჭოს!

## ბაქოს ამბები.

შრომის მინისტრის სკობელევის წინადადებით 9 აგვისტოს ბაქოში მოწვეული იყო კონფერენცია; კონფერენციას დაესწრო 500-მდე წარმომადგენელი მუშებიდან და დიდძალი გარეშე საზოგადოება. გასარჩევი იყო საკითხი კოლექტიური ხელშეკრულობის შესახებ. ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა. სხვათა შორის ისიდორე რამიშვილმა. მის გამოსვლას ცხარე ტაშის ცემით და „ურას" ძახილით შეხვდენ. ის, რამიშვილი ამბობს: ამხანაგებო, ყველაფერს მოველოდი თქვენგან, მაგრამ ასეთ შეხვედრას კი არა! მე გადაწყვეტილი მქონდა დღეს თქვენთან ლაპარაკი, მაგრამ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში,—ვფიქრობდი, რომ თქვენ შემომძახებდით: კმარა ამდენი ლაპარაკი! მე კარგათ მახსოვს რამდენჯერ გადავასხი ცივი წყალი თქვენს ცხოველ სურვილ-მისწრაფებას მტერთან დაუყოვნებლივ შეტევის დაწყების წინაამდეგ. ეს იქნებოდა იმ კეთილშობილ აღმაფრენის რისხვა, რომელნიც ცხოვრებას ჰქმნიან! თქვენ არ შეგეძლოთ არ აღელვებულიყავით, თქვენ ნება არ უნდა მიგეცათ, რომ თქვენზე დაცინვა მოეხდინათ. გული სევდით მევსებოდა, როცა თქვენი შემკავებელის როლში გამოვდიოდი. ჩემი აღშფოთებული გული თქვენთან იყო, მაგრამ გონება სულ სხვას მეუბნებოდა: ის მირჩევდა თავი შეგვეკავებინა უდროვო შეტევისაგან, რათა მტრის გული არ გაგვეხარებინა. მე ბედნიერათ ვთვლი თავს, რომ საწადელს მივაღწიე. კოლექტიურ ხელშეკრულობაში ჩემთვის ყველაზე ძვირფასია ის, რაც იქ არ სწერია: ეს არის ბაქოს პროლეტარიატის მთლიანობა, ის მჭიდრო კავშირი, ის გაერთიანებული ბრძოლა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, თქვენ გახსოვთ, რას წარმოადგენდა ჩვენი პირველი კონფერენცია: რამდენი კაცი იყო, იმდენი აზრი იყო, როგორც იტყვიან. ჩვენ არ ვიყავით შეკავშირებულნი. რანაირი გადაწყვეტილებაც არ უნდა გამოგვეტანა, მე მაინც ეჭვი მებადებოდა რომ ძმა ძმის წინააღმდეგ არ წასულიყო, რომ კერძო გამოსვლებს ადგილი არ ჰქონოდა.

ახლა მე ამის აღარ მეშინია! კოლექტიური ხელშეკრულობა ის მასალაა, რომელმაც შეადუღა და გააერთიანა ბაქოს პროლეტარიატის ყველა ძალები.

მესამე კონფერენციაზე მე უკვე შევნიშნე, რომ ქაოსისა და არევ დარევისაგან შეკავშირებისაკენ მივდიოდით. ახლა თქვენ ძლიერნი ხართ ერთი სურვილით. ახლა აღარ მაშინებს არავითარი შეცდომა. კოლექტიური ხელშეკრულობა, ეს ბაქოს პროლეტარიატის განძია. მან აღგვზარდა ჩვენ, მან შეგვაკავშირა.

თქვენ, ამხანაგებო, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მასსის გავლენის ასე გეშინოდათ. ახლა მე ვგრძნობ [illegible] თქვენში [illegible] თქვენ მასსა დაიმორჩილეთ, თქვენს გავლენის ქვეშ დააყენეთ და ამ ჟამად ის თქვენ გენდობათ.

მეკითხებიან: სად არის რუსეთის დემოკრატიის დეკრეტი? ჩვენი პირველი დეკრეტი 1905 წელში შევადგინეთ და რუსეთის თვითმპყრობელობას წარვუდგინეთ, მეორე დეკრეტს 1917 წელს 27 თებერვალს მოვაწერეთ ხელი—ამ დეკრეტს დაემორჩილნენ. მესამე დეკრეტის საქმე წინ გვიძევს და ამისთვის ვემზადებით. ეს დეკრეტიც ხელმოწერილი იქნება თქვენთან ერთად.

ერთში კი ვართ ჩვენ დამნაშავე—საკუთარის ძალით ჩვენი საქმე ვერ მოვაწესრიგეთ და ჩვენი ამხანაგი სკობელევი სახელმწიფო საქმეებს მოვაშორეთ. შემდეგ ორატორი მიესალმება სკობელევს, სალამს უძღვნის აგრეთვე პეტროგრადის მუშებს და რევოლუციის ბელადთ.

შემდეგ ლაპარაკობს სკობელევი: ამხანაგებო, როცა ამ რამდენიმე დღის წინათ ბაქოს ვუახლოვდებოდი, თავს ისე კი არ ვგრძნობდი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, არამედ—როგორც თქვენი ამხანაგი, რომელიც თქვენთან ერთად რევოლუციის სასარგებლოთ მუშაობს. პირველი სიტყვა, რომლითაც მე თქვენ მოგმართე, იყო სიტყვა არა შრომის მინისტრისა, არამედ—პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგისა. ახლა როცა გშორდებით თქვენ, თავს თქვენს ამხანაგათ ვგრძნობ, თქვენთან ერთად მომუშავეთ რევოლუციის დასახსნელად. მე მივესალმები ჩემს უფროს ამხანაგს ისიდორე ივანის ძე რამიშვილს. ბევრი საუკეთესო საქმისადმი ერთგული ამხანაგები დაიღუპნენ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ბევრი გმირი—მებრძოლნი დარჩნენ ჩვენს წრეებში, რომელნიც თავისუფლებასა და სოციალიზმს ემსახურებიან. ბევრი ჩვენი ამხანაგი, კატორღა-ციმბირიდან დაბრუნებული, მხნეთ გრძნობს თავს და ბრძოლის წყურვილითაა აღტყინებული. და მათ შორის ბევრნი არიან ჩვენი თანამემამულენი, კავკასიელები. მე ვამაყობ, რომ კავკასიამ თავისი თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საერთო თავისუფლების საქმეში. ჩხეიძის სახელი, (ტაში უკრავენ) ეს ჩვენი სახელია! მაგრამ ის ჩვენ წაგვართვეს. ის გახდა არა მარტო რუსეთის, არამედ—მთელი ქვეყნის დემოკრატიის კუთვნილებათ. როცა ხელახლა შეიკრიბება ომის მიზეზით დანგრეული ინტერნაციონალი, მას გახსნის ერთი საუკეთესოთაგანი—ჩხეიძე.

როცა სხვა ქვეყნების დემოკრატიას აკვირვებს სიმამაცე და ორგანიზაციულათ მოწყობა რუსეთის რევოლუციისა, ის იგონებს რუსეთის რევოლუციის მეორე დიდებულ სახელს—წერეთელს.

მე ეხლა მივდივარ და მწამს, რომ საკუთარის ხელით საბედისწერო მახვილს არ ჩაიცემთ, რაიც ზიანს მოუტანს მთელს მუშათა კლასს და რუსეთის რევოლუციას. თუ საჭიროება მოითხოვს, მე კიდევ მოვალ თქვენთან. მე მწამს თქვენი რევოლუციონური შეგნება და ვიმედოვნებ, რომ ჩემში ამ რწმენას თქვენ არ ჩაჰკლავთ...

## რუსეთის ამბები.

— **შავი სიები.** მრეწველები ძველ, ნაცად გზას დაადგნენ. ისე, როგორც ძველი წესწყობილების დროს, ეხლაც შავი სიების შედგენას შეუდგნენ. შავ სიებში ათავსებენ ისეთ მუშებს, რომელნიც შრომასა და კაპიტალს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტში „შეურიგებელნი" აღმოჩნდებიან. ამ დღეებში პეტრ. სტამბების და ლიტოგრაფიების პატრონებმა ახალი ტარიფი შეიმუშავეს და თან ასეთი განკარგულებაც გამოსცეს: თუ ვინიცობაა, რომელიმე მუშა არ დასთანხმდება ამა და ამ ადრესით ტელეფონით გვაცნობეთ მუშის ხელობა, გვარი და სახელიო. ამასთანავე სხვა პატრონებს წინადადებას აძლევენ,—მუშებს ჩვენდა შეუკითხავად სამუშაოზე ნუ მიიღებთო.

— **პროკურორი აბრიხიმოვი,** რომლის შესახებაც ამას წინეთ ვსწერდით, ციხიდან განთავისუფლებით, ვინაიდან ის ჰლექით ყოფილა ავათ. ამ ჟამად ის ტვერის გუბერნიის ქ. ოსტაშკოვში ყოფილა თავის ნაცნობთან. პროკურორის აზრით, მძიმე ავადმყოფობა ხელს უშლის მას, რომ სასამართლოს დაემალოს და ამიტომ მისი თავისუფლად დატოვება შესაძლებელიაო.

— **უმუშევრობა.** შრომის სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ პურისა და ფართლეულობის მონოპოლიის შემოღებით ბევრი წვრილი სავაჭრო დაწესებულებები იხურება და ამიტომ მოსამსახურენიც უსაქმოთ რჩებიან. შრომის სამინისტრო ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით კანონ-პროექტს იმუშავებს, რათა უსაქმოთ დარჩენილთა მდგომარეობა შემსუბუქებულ იქნას.

**რკინის გზებზე.** ეკატერინეს რკინის გზის ორთქლმავალთა ბრიგადის მოსამსახურეებმა დაადგინეს გაფიცვა გამოაცხადონ 20 აგვისტოდან, უკეთუ მათ ეკონომიურ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს რკინის გზა. საქონლის და სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა შეჩერებული იქნება. გაფიცვა არ შეეხება სამხედრო და სასანიტარო მატარებლების მიმოსვლას.

11 აგვისტოს მოსკოვ-ვინდავო რიბინის რკინის გ. მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა

მოხდა. დეპოს მუშები გამოცხადდნენ უფროსთან და განაცხადეს, რომ მათ არ აკმაყოფილებს მლეხანოვის კომისიის მიერ დამტკიცებული მიმატება და მოითხოვეს იმდენი მიეცეთ მათ, რამდენსაც პროფესიონალური კავშირები დააწესებენ. უფროსმა აღუთქვა მათ, რომ თქვენს თხოვნას გზის გამგეობას გადავცემო. მუშები არ დაკმაყოფილდნენ და გაიფიცნენ. 9 საათზე დაწყებული გაფიცვა დღის პირველ საათზე შესწყდა, ვინაიდან მუშებსა და ადმინისტრაციას შორის მოხდა შეთანხმება.

## უცხოეთი.

**რევოლიუცია ისპანიაში.** ბევრს სწერენ რუსეთის გაზეთები ისპანიის რევოლიუციის შესახებ. იკვლევენ რევოლიუციის მიზეზებს. 1898 წლამდე ისპანია კოლონიალურ პოლიტიკას აწარმოებდა. ეს ქვეყანა თუმცა თავის თავად ღარიბი და განუვითარებელია ყოველის მხრით, მაგრამ მისი იმპერიალისტები მაინც სხვა ქვეყნების შემოერთებაზე ოცნებობდნენ და სწორედ აქ მოუხდათ მათ შეტაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ბრძოლაში ისპანია დამარცხდა. ამიტომ ის იძულებული იყო სხვა ქვეყნების შემოერთებაზე ოცნებისთვის თავი დაენებებინა და მთავარი ყურადღება მიეპყრო ქვეყნის შინაური აღორძინებისათვის, მაგრამ ასე არ მოიქცნენ მმართველი წრეები. სრულიადაც არ გაუწიეს ანგარიში იმ გარემოებას, რომ მათ განკარგულებაში საჭირო ძალა არ იყო და ისევ ძველი გზით განაგრძეს სიარული. აქ ისინი ცდილობდნენ სხვადასხვა სამხედრო ავანტიურის შემწეობით საგარეო-შორისო საკითხებში შესაფერი როლის თამაში და უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ქვეყნის კულტურული და ეკონომიური განვითარების ხელის შეწყობის ნაცვლად, ძველებურად განაგრძობდნენ მუშაობას, როგორც ლიბერალური ისე კონსერვატიული სამინისტროები. ასეთი მოღვაწეობის ნაყოფი ახლა ყველას თვალ წინ უდგას. ქვეყანა სრულიად განადგურდა, ჯარის ორგანიზაცია დაინგრა და თვით ისპანიაც არ არის გაერთიანებული, მთავრობა კი გარეთ იცქირება, მაგ. ამ რევოლიუციის დროს საგრძნობ ყურადღებას იქცევს ისპანიის ერთი პროვინცია—კატალონია მთავარი ქალაქ ბარცელონათი. ეს კუთხე შეძლებით მდიდარია, როგორც კულტურულად ისე მატერიალურად—აქ განვითარებულია მრეწველობა და ეს კუთხე არის რევოლიუციის საკუთარი ბუდე. მცხოვრებნი როგორც ენით, ისე სხვა მხრითაც განსხვავდებიან ისპანიელთაგან და სწორედ ეს პროვინცია ვერ შერიგებია პოლიტიკურ უუფლობას, მთავრობის აღვირ ახსნილ მოქმედებას და სოციალურ არევ დარევას. ეს კუთხე უკვე დარწმუნდა, რომ საქმე იმით არ იცვლება ლიბერალური სამინისტრო უდგას სათავეში ქვეყანას, თუ კონსერვატიული და ამიტომ გადაჭრით მოითხოვს სახელმწიფო წეს-წყობილების სრულ დემოკრატიზაციას. ეს გამოძახილს პოულობს ისპანიის სხვა ადგილებში და რევოლიუციასაც ფართო ხასიათი ეძლევა.

# მუშათა ცხოვრება

**ბათუმი.** აქაურ საფეისწულო მამულში მომუშავენი ხელფას უფრო ნაკლებს იღებენ, ვიდრე დანარჩენი მუშები. ვაჭრები ხომ თანდათან აძვირებენ ყველაფერს და ამით მუშების მდგომარეობა უარესდება.

31 ივლისს, ივლიანე გოგუაძემ და ქრისტეფორე იმნაიშვილმა მოაწყვეს სახალხო სასადილოს კოოპერატივი შეადგინეს სია და დაიწყო ხელის მოწერა. ორ აგვისტომდე ორმოცზე მეტმა მოაწერა ხელი (პაი 10 მ.). ორ აგვისტოს შედგა წევრების კრება და აირჩიეს გამგეობა შემდეგი პირებიდან: ივლიანე გოგუაძე, ანტონ კუტიძე და ივანე კაველიძე. გამგეობამ ჩამოართვა დარჩიას სასადილო, შეისყიდა ყოველივე საჭირო ნივთები და შეუდგა საქმის წარმოებას. დაიქირავა მზარეული და ათ პროც. დაკლებით იყიდება სანოვაგე. ეს დაწესებულება ხელსაყრელია მუშებისათვის და ყველა ვალდებულია მის აღორძინებას ხელი შეუწყოს.

ვისაც კი შეხვდები აქ ყველა სოციალ-დემოკრატიის სახელს ატარებს, მაგრამ თავისი ინტერესების დამცველი გაზეთი გამოწერილი არა აქვთ. ბევრს არ აინტერესებს ჟურნალ-გაზეთების კითხვა. მიზეზად გაზეთების გაძვირებას ასახელებენ, მაგრამ იმას ვერ ხედვენ, რომ ხელფასიც იზრდება. ამიტომ ცოტა წვლილი რომ გამოიღონ გაზეთისთვის და გამოიწერონ, ცოტა რამეს ისწავლიან და კარგია. „ცოდნა—ძალაა“ ხომ გაგიგონიათ, ამხანაგებო! ამიტომ ეცადეთ მეტი შეიძინოთ, თუ გსურთ შეგნებული წევრი გახდეთ ს. დ. პარტიისა.

ჩახრუკული.

**კახეთის რკინის გზა.** რევოლიუციის ქარიშხალისაგან დამფრთხალნი კახეთის რკინის გზის მესვეურები პირველად ფრთხილებას იჩენდნენ მუშა-მოსამსახურეებს, „ამხანაგურ“ ხელს უწვდიდნენ მათ და გზის მთავარ კომიტეტთანაც კარგ განწყობილებაში იყვნენ. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა. მალე კახეთის რკინის გზის უფროსებმა სხვა ჰანგზე იწყეს სიმღერა. ისინი აშკარად ამოქმედდნენ რევოლიუციონური ორგანოს, მთავარი კომიტეტის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას კომიტეტის წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა რკინის გზის გამგე ბ. თუმანიშვილი.

ამ უკანასკნელ დროს ძლიერ გამწვავდა დამოკიდებულება თუმანიშვილსა და ცენტრალურ კომიტეტს შორის.

ც. კომიტეტს არც ერთი დადგენილება სისრულეში არ მოუყვანია ბ. თუმანიშვილს. მას უწარმოებია კომიტეტთან ფიცხელი და კომიტეტის დამამცირებელი მიწერ-მოწერა: შრომის ნაყოფიერების შემცირება, რაც საერთო მოვლენაა ყველა გზებზე, თუმანიშვილის აზრით, კომიტეტის ბრალია; თუ რამე წახდა კახეთის რკინის გზაზე, ეს თურმე კომიტეტის ბრალი ყოფილა. ბოლოს თუმანიშვილი იმ დასკვნამდის მიდის, რომ ც. კომიტეტი მას უშლის მუშაობას. აქედან აშკარაა—კომიტეტი უნდა გაუქმდეს.

კითხვა ასე დაისვა: ან უნდა იარსებოს რევოლიუციონურმა ორგანომ, კახ. რკ. გზის ცენტრ. კომიტეტმა, რომ უხელმძღვანელოს ამ გზის მუშა-მოსამსახურეებს და ამით ემსახუროს რევოლიუციას, ან უნდა ყველაფერში დაუთმოს მან რკინის გზის გამგეს თუმანიშვილს და გამოაცხადოს თავის თავი გაუქმებულად.

ამ კითხვაზე ც. კ—მა შემდეგი პასუხი გასცა: აგვისტოს კრებაზე, რომელსაც დაესწრო მთელი შემადგენლობით ნავთლუღის და სამმართველოს ადგილობრივი კომიტეტები და აგრეთვე ყურჯაანის კომიტეტის ორი წარმომადგენელი,—დაადგინა: კახ. რკ. გზის გამგე ბ. თუმანიშვილი ხუთი დღის განმავლობაში გადაყენებულ იქნეს სამსახურიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში კომიტეტი იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას.

ამ დადგენილებამ მოთმინებიდან გამოიყვანა თუმანიშვილის ზურგის გამმაგრებელნი. ისინი დიდ ფაცა-ფუცში არიან. ეწევიან ფართო აგიტაციას სტყუილებით და დეპეშებითაც და ამხედრებენ მუშა მოსამსახურეებს ც. კ—ს წინააღმდეგ.

მაგრამ, რომ უფრო შეცდომაში შეიყვანონ მუშა მოსამსახურენი, ისინი ხრიკებს მიმართავენ. ამბობენ: ჩვენ ც. კ—ს კი არ ვებრძვით არამედ იმ ზოგიერთ პიროვნებებს, რომელთაც იქ მოუკალათებიათ და წყალს ამღვრევენო. რა თქმა უნდა ეს არ არის მართალი. ნამდვილად ბრძოლა გაჩაღებულია თუმანიშვილსა და ც. კ—ს შორის. გაეცანით მათ მიწერ-მოწერას და დარწმუნდებით ამაში. თუმანიშვილი და მისი მომხრეები ებრძვიან კახ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურეთა რევოლიუციონურ ორგანოს და არა რომელიმე პიროვნებას. ამ ბრძოლის პირად ნიადაგზე გადატანით ისინი ცდილობენ თვალები აგვიხვიონ და თავიანთი კონტრ-რევოლიუციონერობა დაფარონ.

ყველგან ასე იქცევიან კონტრ-რევოლიუციონერები. ისინი სწორეთ ასეთ ბრძოლას აწარმოებენ ამიერ-კავკ. რკინის გზის კომიტეტების და ც. კომიტეტის წინააღმდეგ, მაგრამ მათ ყველგან ცნობენ და შესაფერ პასუხსაც აძლევენ. იმედია ასეთ პასუხს გასცემენ მათ კახ. რკ. გზის მუშა-მოსამსახურენიც.

მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროთ, ზოგიერთი მუშა მოსამსახურენი აყოლიან კონტრ-რევოლიუციონერების ფეხის ხმას.

ვფიქრობ, რომ ესენი შეცდომაში შედიან და ვერ ხედავენ, რომ ბრძოლა გაჩაღებულია კონტრ-რევოლიუციონერებსა და ც. კომიტეტს შორის. თუ ეს ასე არ არის, მიპასუხონ ამ მუშებმა: ვინ არიან ისინი, ვინც ამ ბრძოლის სათავეში უდგიან? ნუ თუ გგონიათ, რომ მათ რევოლიუცია სწამთ და მას ემსახურებიან? მე ვამტკიცებ, რომ მათ მუდამ სძულდათ რევოლიუცია და ებრძოდნენ მას; ებრძვიან ეხლაც და იბრძოლებენ შემდეგშიაც. მათ სულ სხვა მიზანი აქვთ დასახული და ამას კარგათ უნდა ჩაუკვირდეს ყველა.

წარმოვიდგინოთ, რომ ისინი მართლა ზოგიერთ პიროვნებებს ებრძვიან და არა ც. კომიტეტს. (აქ სახეში აქვთ ის ჯავშური განხეთქილება, რომელიც თავიდანვე არსებობს კახ. რკ. გზაზე).

მაგრამ ნუ თუ გგონიათ, რომ იმათ მართლა სურთ ამ უთანხმოების ლიკვიდაცია? მერე ვინ უშლიდათ მათ აქამდე მოეხდინათ ეს? რადა ეხლა გამოიდეს თავი? მიპასუხონ ამაზე მათმა მომხრე მუშა-მოსამსახურეებმა.

რაც შეეხება ჯავშურ განხეთქილებას იმერლებსა და კახელებს შორის, აუცილებელ საჭიროთ მიმაჩნია მოხდეს ამის შესახებ ფართო გამოძიება და სამარცხვინო ბოძზე გაიკრას ყველა ის, ვინც ასაზრდოებს ამ განხეთქილებას.

ხოლო საჭიროა ეს კითხვა ცალკე დაისვას და არ იქნას არეული სხვა კითხვებში.

ვლ. ბ—ძე.

# პროვინციის ცხოვრება.

**ხოფ. ზემონაქალაქარი.** (თიანეთის მაზრა). აქ ცხოვრობს ალექსი აფციაური, რომელიც იყო და არის დღესაც ძველი რეჟიმის მოყვარული და ამასთანავე ყოფილი ბოქაულის ვაჩაძის პირველი მეგობარი. ეს ვაჟბატონი ხალხში მუდამ ისეთებს ლაპარაკობს, რომ იწვევს არევ დარევას. მართალია ცხადად ვერაფერს აკეთებს, მაგრამ ჩუმ-ჩუმად აქეზებს ზოგიერთებს. ზემო და ქვემო ნაქალაქრის გლეხებს უკრძალავს ძალით ჩამოერთვათ ხევსურებისათვის მიწები, რომელიც მათ ქონდათ შენახული ყირულად. მართლაც ამან გავლენა იქონია და ზოგიერთებმა დააპირეს წასვლა და უნდოდათ ძალადობა ეხმარათ ხევსურებზე, მაგრამ აღმოჩნდნენ სოფელში გონიერი კაცები და დაუშალეს, თორემ სისხლი დაიღვრებოდა. ამ ალექსის სხვაც ბევრი რამ ბრალდება და ამიტომ კარგს იზამს ჩვენი კომისარი, რომ მას დროებით მაინც მოგვაშორებდეს. თორემ ის ისე იქცევა, რომ ხალხს სულ არევს.

ხვთისო დავითის ძე წიკლაური.

**ს. ჩიბათი.** (გურია). კვირას 6 მარიობისთვეს გომახურში შესდგა ჩიბათის წვრილ შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობის კრება. თავმჯდ. აირჩიეს ვ. ტუსკია, მდივნათ მ. ჯორბენაძე, განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1916 წლ. ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

1916 წლის ანგარიში კრებამ დაამტკიცა უცვლელად და თანაც მადლობა გამოუცხადა გამგეობას. ამხანაგობას 1916 წლის განმავლობაში წმინდა მოგება დარჩენია 672 მ. 02 კ. რომელიც გაანაწილეს შემდეგ ნაირად: 270 მ. გადარიცხეს ძირითად თანხაში, 200 სათადარიგო თანხაში, ცოტა კამათი გამოიწვია დანარჩენ 202 მ. და 02 კ. განაწილებამ. შემდეგ თანხა გადადებულ იქნა ჩიბათის პირველ დაწყებითი უმაღლეს სკოლის ფონდის გასაძლიერებლად.

ფარული კენჭის ყრით აირჩიეს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები. თავმჯდომარეთ გამგეობის არჩეულ იქნა მ. ჯორბენაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ მღვდ. ბარნაბ ჯორბენაძე, გამგე მოანგარიშეთ არჩეულ იქმნა პლატონ იმნაძე. მოლარეთ დარჩა ისევ ყ. ქყონია, მის კანდიდატათ ნ. სურგულაძე.

სარევიზიო კომისიის წევრებათ დარჩნენ ძველები: მღვდ. მარკოზ ჯორბენაძე და კონია ქყონია, მათ კანდიდატათ არჩეულ იქმნა დიმიტრი ლომაძე.

1917 წლის კანცელარიის ხარჯებისთვის კრებამ გადასდო 70 მანეთი. ერთ მოანგარიშეს დაუნიშნეს 180 მანეთი. ორ გამგეობის წევრს 240 მანეთი.

კრებამ ს. ჯორბენაძეს და პლ. იმნაძეს დაავალა იზრუნონ უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის გასახსნელათ.

ვ. ალია.

**ხოფ. სუჯუნა.** (სამეგრელო). აქ ყველა დაინტერესებულია რევოლიუციით. ყველას უნდა გაიგოს, თუ რა ხდება ირგვლივ, მაგრამ ხელს უშლის უცოდინარობა. ამით სარგებლობს ზოგიერთი ყოფილი ჩარჩი და ნაძირალები და მეცადინეობენ ხალხის მეთაური და წინამძღოლნი გახდნენ. ყოველ ნაირ საშუალებას ხმარობენ, რომ ყალბათ გააშუქონ დღევანდელი მომენტი და მოძრაობის მიზნები. არავითარ სიყალბის, ჭორების გავრცელებას აღარ ერიდებიან და ცილს სწამებენ ხალხის მოკეთეებს. ზოგიერთები მართლაც აჰყვნენ ამათ ქადაგებას და იმის მაგიერ, რომ ყველა მოწინავე და მცოდნე პირები შეაკავშირონ, არევ-დარევა და შუღლი შეიქმნა. ამის მიზეზი როგორც ვთქვი უცოდინარობაა. არა მგონია რომელიმე სოფელი ისე ჩამორჩენილი იყოს, როგორც ჩვენი სუჯუნა.

აქ ვერ შეხვდებით ბიბლიოთეკა სამკითხველოს და კოოპერატივს. სკოლა ამ ხუთიოდე წლის წინად დაარსდა მაგრამ ვერ არის ხეირიანათ მოწყობილი. სკოლის შენობა ლპება, საჭირო არის დახმარება. ამ მხრით პირველი ნაბიჯი თფილისში მცხოვრებ სუჯუნელებმა გადადგეს. შეაგროვეს ერთმანეთს შორის მცირე თანხა, რომელსაც უწოდეს „[illegible] სოფელ სუჯუნის სკოლის ფონდი“, დაადგინეს განაგრძონ ფულის შეგროვება ამავე მიზნით და მიმართონ ყველას დახმარებისათვის.

შემოწირულება მიიღება შემდეგი მისამართით:

Въ гор. Тифлисъ, Черкезовская улица домъ № 102 Георгію Окропировичу Гваберидзе.

იასონ პოლოკავა.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ძიმითის უფასო სახალხო სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ყველა იმათ, ვინც ნივთიერი დახმარება გაუწია ჩვენს სამკითხველოს.

გამგეობა.

ს. შუა და ზემო ამაღლების (გურია) სილიბისტრო ჯიბლაძის სახელობის სამკითხველოს გამგეობა მადლობას უცხადებს: ერმალო ყაჭეიშვილს, რომელმაც ქ. ეკატერინოდარში შეაგროვა 380 მანეთი, ანტონ ბაბულეიშვილს, რომელმაც ქ. ბათუმში შეაგროვა 92 მან., მაკარი ჯიბუტს, რომელმაც დაბა სურამში შეაგროვა 46 მანეთი და 40 კაპ., ემილე გოგუაძეს, რომელმაც შემოსწირა ბესარიონ სიხარულიძის სულის მოსახსენებლად 5 მან.

პატივისცემით გამგეობა.

მადლობას უცხადებთ ყველა იმათ, რომლებმაც შეკრიბეს ფულები, აგრეთვე შემომწირველთაც მე-18 თურქესტანის მსროლელთა პოლკის ქართველ ჯარის-კაცთათვის რუსული და ქართული ენის შესასწავლად და აგრეთვე თანამედროვე პოლიტიკური წიგნების და ქართული ჟურნალ-გაზეთების შესაძენად. სია შემომწირველთა: მე-18 თურქესტანის მსროლელთა პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი ხანკალამოვი—10 მ., პოლკის კომიტეტი—250 მ., პოლკის საოჯახო ფულებისაგან—250 მ. პორუჩიკმა ბეზმენოვმა—10 მ., პოდპორუჩიკმა ბურაკინმა—10 მ., პრაპორშჩიკმა სულაძემ—15 მ., პრ. წიწვიძემ—10 მ., პრ. გურგენიძემ—10 მ., პრ. ქვარიამ—10 მ., პრ. ჯამბა—5 მ., მე 18 თურქესტანის მსროლელთა პოლკის ქართველ ჯარისკაცთაგან—360 მ. 94 კ. სულ—940 მ. 94 კ.

თავმჯდომარე მე 18 თურქესტანის მსროლელთა პოლკის პრაპორშჩიკი გ. წიწვიძე.

**რეზოლიუცია** მე 18 თურქესტანის მსროლელთა პოლკის ქართველ ოფიცრთა და ჯარისკაცთა წარმომადგენლებისა.

1) მივიღეთ რა მხედველობაში, რომ რუსული ენა საჭიროებას წარმოადგენს ფრონტზე მყოფთათვის—კრებამ ერთხმად გადასწყვიტა შეისწავლოს რუსული ენა.

2) ვინაიდან რუსულად დაწერილი ანბანებით რუსულ ენის შესწავლა ძნელია ქართველებისთვის, კრება აუცილებელ საჭიროებად სთვლის შესწავლილი იქნას ის სამშობლო ენის საშუალებით, რისთვისაც შეძენილ იქნას სახელმძღვანელოები.

3) რადგანაც სამშობლო ენის წერა-კითხვის შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას ყველა ქართველთათვის, სადაც უნდა იყოს იგი, კრებამ დაადგინა შესწავლილ იქნას სამშობლო ენა, რისთვისაც მოპოებულ იქნას შესაფერისი სახელმძღვანელოები წერა-კითხვის მცოდნეთათვის და არა მცოდნეთათვისაც.

4) მივიღეთ რა მხედველობაში, რომ ჩვენ შორის მოიპოვებიან წერა-კითხვის მცოდნენი, რომელთათვის აუცილებლად საჭიროა განვითარება, კრებამ დაადგინა შეძენილ იქნას წიგნები ბელლეტრისტიული და პოლიტიკური შეძლებისდაგვარად ყველა მწერლებისა.

5) ყველა ამაებისათვის საჭირო არის საშუალება. ამ მიზნით ეთხოვოს პოლკის კომანდირს ნივთიერი შემწეობა, აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც და შეგროვილ იქნას ფული ჯარისკაცთა და ოფიცერთა შორის ხსენებულ მიზნის განსახორციელებლათ.

თავმჯდომარე პრაპორშჩიკი გ. წიწვიძე.
მდივანი პრ. ხუდაძე.

ანაკლიის ორგანიზაცია რ. ს.-დ. მ. პ. მადლობას უცხადებს მარიამ ხაბურზანიასა სულიკოვის ასულს, რომელმაც ორასი მანეთის ღირებული დროშა შემოსწირა ორგანიზაციას წარწერით და კარლ მარქსის სურათით.

კოლექტივის თავმჯდომარე სტეფანე გურგენაძე.

მადლობას უცხადებთ ილიკო ლევანტის ძე ებრალიძეს, რომელმაც კეთილი ინება და ლანჩხუთის ნათლისმცემლის სამკითხველოს სასარგებლოდ ტრაპიზონში და პლატანში შეაგროვა თავის ნაცნობ მეგობრებში ას ორმოცდა ათი მანეთი (150 მ.). დიდი მადლობა შემომწირველთ.

ლანჩხუთის ნათლის მცემლის სამკითხველოს თავმჯდომარე სამსონ ცანცაძე. გამგე: მათლოზ გვარჯალაძე და არჯევან ურუშაძე*).

## ცნობები
### ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი სოფრომ კურდღელია მსახურობდა მოქმედ ჯარში კავკასიის ფრონტზე 111, 112 და 220 ბატალიონების ზედამხედველთა რაზმში. აპრილის დასაწყისში ტიფით ავათ გამხდარა, მას შემდეგ არაფერი ვიცით. ეთხოვება ყველა ამხანაგებს, ლაზარეთებში მოსამსახურეებს და სხვებსაც გვაცნობონ მის შესახებ რამე. ზანდა, ქუთაისის გუბ. ჯარისკაცი კაპიტონ ანჯაფარიძე.

— ჯარისკაცი შალვა გრიგოლის ძე ქინქლაძე მსახურობდა თეთრის ფრონტზე მე 2 კავკასიის მსროლელთა დივიზიაში. გთხოვთ გამაგებინოთ მის შესახებ შემდეგი მისამართით: ბათუმი, პეტერბურგსკაია ქ. № 39, გრიგოლ ქინქლაძე.

— ამხანაგი გაბოს ძე ონიანი გადასახლებული იყო პოლიტიკური დანაშაულობისთვის 1908 წელში. ამ წლის თებერვალში იყვა ქ. ტულას საავადმყოფოში, იქიდან უნდა წამოსულიყო ქ. ჩელიაბინსკში. პირველ მარტს აქეთ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ამიტომ ვთხოვ ყველას, ვინც კი რამე იცის ხსენებულ ონიანის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. ცაგერი, ლეჩხუმის მაზრ., სოფ. სასაში, სანდრო გაბრიელის ძე ონიანი.

— ჯარისკაცი [illegible] ძე კიკნაძე-შვილი შორაპნის მაზრის სოფელ წიფის მცხოვრები, მსახურობდა მოქმედ ჯარში რუმინიაში, მე-6 რკინის გზის ბატალიონში 1-ლ როტაში. 15 ივლისს ბრძოლის დროს დაიხრჩო მდ. სერეტში. 19 ივლისს დავასაფლავეთ მდ. სერეტის ნაპირას სოფ. პედურენში (რუმინიაში). ამხანაგები ჯარისკაცები: ვანო მაძალუა, კოლია გველესიანი, ირაკლი ქორიაშვილი და ილიკო ბანცაძე.

*) სია არ იბეჭდება.

რედ.

თფილ. ოლქის. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: (ველამარი, ორთაჭალა, ნავთლუღი) ავლაბრის კლუბში, (ქვეთის ქუჩა № 1), ღიაა დილ. 9—2 ს., საღ. 5—9 საათ.

ტელეფონი № 5—98.

მეოთხე რაიონული კოლექტივი დღიდან დროებით გადავიდა მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში, უდელნის ქუჩაზედ. ბიურო ღიაა 6—8 საათ. საღამოთი.

**ბიურო**

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

**ბიურო**

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).
კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

**ექიმი კ. ი. გვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ... ტელეფ. 15—00.

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და საღ. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ქ. ქუთაისში.
**ექიმი გ. ი. ჩხენკელი**
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

**ექიმი ა. დ. პეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
**ექიმ გ. ი. გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 ს. საათამდე.

ექიმის თანაშემწე
**ვლ. ი. თავართქილაძე**
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, №

**ექიმი გ. გ. ვეშაპიძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის მიდამოებში, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ქუთაისში
ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, ციციშვილის სახლში.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ
**БОРЬБА**
Органъ Закавк. Областного и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Тавартиладзе.
Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба».
Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.